



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 21  
31/05/2019

21-04-4-201905311623



**ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლების მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის - ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლის საჭიდაო დარბაზზე (ს/კ №21.03.35.040) გურამ ჯიჯავაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ**

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6-ე დადგენილების 117-ე მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლების მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის (შემოსული დოკუმენტი №39/04, 03.04.2019 წელი) - ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლის საჭიდაო დარბაზზე (ს/კ №21.03.35.040) გურამ ჯიჯავაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით (გარდაცვალების ვადის შეზღუდვასთან მიმართებაში) საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვება.

2. დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლების მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის - ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლის საჭიდაო დარბაზზე (ს/კ №21.03.35.040) გურამ ჯიჯავაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ინიცირება.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე



საკრებულოს თავმჯდომარე

